პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 166 (9942) | ხუთშაბათი, 15 ივლისი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობა. — „პრავდის“ 14-VII მოწინავე (1-გვერდი).
გ. მ. მალენკოვმა მიიღო სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე დ-რი საიფუდინ კიტჩლუ (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
საქართველოს კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).
ს. რიჟინაშვილი. — მოსკოვი (1-ლი გვერდი).
აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (1-ლი გვერდი).
რუსთავის მებრძმედეების პირველი დეკადა (1-ლი გვერდი).
შირაქმა გული გაიხსნა, მოვდავ [illegible] (მე-2 გვერდი).
მხატვრული სიტყვის დიდოსტატი — [illegible] დაცვალების 50 წლისთავი (მე-3 გვერდი).
სპორტის ამბები (მე-4 გვერდი).
თბილისი — ქალაქის ქრონიკა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ პარტიული კომიტეტების ორგანიზაციორული მუშაობა

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, რომ მოსავლის აღების დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებაზე დამოკიდებულია სახელმწიფოსათვის პურისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულება, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფა საკუთარი მაღალხარისხოვანი თესლით, საფურაუე მარცვლეულით, საზოგადოებრივი პირუტყვის უხეში საკვებით, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება.**

**შემჭიდროებული ვადები, რომელთა განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს ნათესების მოვლა, მოსავლის აღება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და შესყიდვა, მოითხოვენ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების განსაკუთრებულ ორგანიზებულობასა და მუშაობის სიზუსტეს, კოლმეურნეთა და მექანიზატორთა მაღალ შრომითს დისციპლინას, ტექნიკის ყოველმხრივ გამოყენებას.**

**როგორც გვიჩვენებენ საოლქო, სამხარეო კომიტეტებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პლენუმები, რომლებმაც განიხილეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, ბევრი პარტიული კომიტეტი ძალიან სუსტად ხელმძღვანელობს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადებას. ამის შედეგად, მაგალითად, უზბეკეთის ზოგიერთ რაიონში ჭიანურდება ბამბის ნათესების დამატებითი გამოკვება და მორწყვა, ხოლო ხელოვნურსის მთელ რიგ რაიონებში დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს ხელის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ნათესების გათოხნა და დამატებითი გამოკვება. ყველგან როდია მიღებული ღონისძიებანი იმისათვის, რომ დროზე დამთავრდეს მოსავლის ასაღები მანქანების შეკეთება, დახურული კალოების, საშრობების მშენებლობა და შეკეთება, დროზე მომზადდეს ტრანსპორტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდავად.**

**ამოცანა ის არის, რომ სწრაფად აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადავიტანოთ ყოველდღიურ, გულმოდგინე ორგანიზატორულ საქმიანობაზე კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში, იქ, სადაც პრაქტიკულად წყდება მოსავლის აღებისა და პურის დამზადების წარმატება.**

**პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ სწორად შეახამონ დროის მიხედვით თანხვდენილი ისეთი სამუშაოები, როგორიც არის ნათესების მოვლა, მანქანების, ინვენტარის, საწარმოო შენობების შეკეთება, თიბვა, საკვების დახალხება და სხვ. ამისათვის კი საჭიროა სწორად გავანაწილოთ და ავიყვანოთ ადამიანები, კონკრეტულად და ოპერატიულად ვუხელმძღვანელოთ საქმეს.**

**მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისათვის მზადებაში წვრილმანება არ არის. აქ ყველაფერს დიდი მნიშვნელობა აქვს, ყველაფერი საჭიროა, თუ დროზე არ შეაკეთე კომბაინები, სალეწი და სხვა მანქანები — ჩაშლი მოსავლის აღების ვადებს, დაუშვებ დანაკარგებს. თუ არ ააშენე ან არ შეაკეთე დახურული კალო, საშრობი — ვერ დაიცავ მოსავალს წვიმისაგან, თუ არ მოამზადე ტრანსპორტი და საწყობები — გაჭიანურებ მარცვლის, ბოსტნეულისა და კარტოფილის გადაზიდვას. თვითეული ამ ღონისძიების უგულებელყოფას შეუძლია დიდი ზარალი მიაყენოს სახელმწიფოს, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს.**

**პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ზედმიწევნით და ყოველმხრივ ჩასწვდნენ მოსავლის აღებისა და დამზადებათა მომზადებისა და განხორციელების ყველ დეტალს. მოსავლის აღების ხელმძღვანელობა ნიშნავს წინასწარ გაითვალისწინო სიძნელეები, დროზე მიიღო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, დარაზმო მასები იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ სოფლის მეურნეობას დაუსახა.**

**პარტიული კომიტეტის საქმიანობაში მთავარია არა მრავალი სხდომები, არა რეზოლუციების შედგენა, არამედ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესასრულებლად. ამის ნაცვლად ზოგიერთ რაიონში პარტიული მუშაკები ხშირად იძახებენ რაიკომში მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს, ისმენენ მათს ანგარიშებს, აჩაღებენ კამათს, ადგენენ გრძელ რეზოლუციებს. განა საჭიროა იმის თქმა, რომ ამგვარ პრაქტიკას საქმისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.**

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს პარტიის ბუზდიაკის რაიკომი, რომელმაც ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე 49 სხვადასხვა საკითხი განიხილა. სხდომა გაგრძელდა დილის ათი საათიდან ღამის პირველ საათამდე. ბიუროზე გამოიწვიეს 118 კაცი. აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი სხდომები ამ რაიონში საკმაოდ ხშირად ეწყობა. სადღაა დრო ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობისათვის!**

**იქ, სადაც პარტიული კომიტეტები ნამდვილი, ცოცხალი საქმის საზიანოდ გატაცებული არიან სასხდომო ფუსფუსით, ყოველი საბაბის გამო რეზოლუციების წერით, მტს-ები და კოლმეურნეობები, როგორც წესი, ჩამორჩებიან მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიების განხორციელებაში. ქალაქდის დირექტივა ვერ შეცვლის ცოცხალ კავშირს ადგილებთან, ადამიანებთან. რა კარგადაც უნდა იყოს შედგენილი დირექტივა, იგი თავისთავად ვერ განხორციელდება, მისი შესრულება უნდა მოეწყოს. ამიტომ საჭიროა მეტი მუშაობა კოლმეურნეებთან, მექანიზატორებთან, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან, რადგან მათზეა დამოკიდებული საქმის წარმატება.**

**სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის და ზოგიერთი სხვა პარტიული კომიტეტების პლენუმებზე მოიყვანეს ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, რომ პარტიის მთელი რიგი რაიკომების მდივნები მტს-ების ხაზით, რომლებიც ყოველდღიურ ორგანიზატორულ მუშაობას უნდა ეწეოდნენ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის, იშვიათად დადიან კოლმეურნეობებში, საქმიან დახმარებას არ უწევენ საკოლმეურნეო კადრებს. გამოცდილება, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ პარტიული კომიტეტის ორგანიზატორული მუშაობა საჭირო შედეგს მხოლოდ მაშინ მოიტანს, როცა ეს კომიტეტი ემყარება პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სოფლის კომუნისტთა ფართო მასებს. ამიტომ საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების აქტივობა, გავაძლიროთ მათი პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მოსავლის აღებისა და პურის დამზადების წარმატებით განხორციელებისათვის.**

**პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობის ძალა იმაშია, რომ ეს მუშაობა წარმოებს მასებში პოლიტიკურ მუშაობასთან მჭიდრო შეხამებით. ახლა საოლქო კომიტეტების, რაიკომებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების მთელი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას, ბრძოლას შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის.**

**მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ მთელ რიგ ადგილებში სოფლად პოლიტიკური მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის. ეს შეეხება, კერძოდ, პსკოვის ოლქის ზოგიერთ რაიონს. ეს ოლქი ეჯიბრება ველიკეი ლუკის ოლქს სელის უხვი მოსავლისათვის. ნათესების მოვლა კი აქ ცუდად არის მოწყობილი, განსაკუთრებით აყოვნებენ კოლმეურნეობები მარგვლას. სუსტია მზადება სელის მოსავლის აღებისათვის. პარტიის ბევრი რაიკომი ჯეროვან ორგანიზაციურულ და პოლიტიკურ მუშაობას არ ეწევა კოლმეურნეებში. ზოგიერთ რაიონში კოლმეურნეთა მნიშვნელოვანი ნაწილი არც კი იცნობს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას მესელეობის აღმავლობისა და სელის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.**

**დღეს ქვეყნდება ციმბირის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვა ციმბირის ყველა კოლმეურნის, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი ორგანოების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი. ციმბირის პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას მოსავლის აღების სანიმუშოდ ჩატარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, დაეხმარონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.**

**სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის წარმატებით განხორციელების ინტერესები მოითხოვს მასებში პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლებას. მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სანიმუშოდ ჩატარება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმ უმნიშვნელოვანესი საყოველთაო-სახალხო ამოცანის — სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის — შესრულების გზაზე, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დაგვისახეს.**

**„პრავდის“ 14-VII მოწინავე.**

## ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავის მომწყობ სრულიად საკავშირო კომიტეტში

14 ივლისს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირში კ. ა. ფედინის თავმჯდომარეობით გაიმართა ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავის მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ბელორუსიასა და აზერბაიჯანში ჩეხოვისადმი მიძღვნილი დღეების შესახებ ინფორმაცია გააკეთეს მწერლებმა პ. ბროვკამ და მ. იბრაგიმოვმა. რესპუბლიკებში შეიქმნა კომიტეტები, კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს, მოეწყო გამოფენები, რომლებიც აუქმებენ დიდი რუსი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო სესია. ბელორუსიის სახელმწიფო გამომცემლობა ღირსსახსოვარი თარიღისათვის უშვებს ა. პ. ჩეხოვის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეულს. აზერბაიჯანში გამოდის ა. პ. ჩეხოვის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული. მინსკსა და ბაქოში გაიმართება საზეიმო სხდომები.

ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები. 15 ივლისს დღისით მწერლის საფლავთან ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე გაიმართება სამგლოვიარო მიტინგი. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ამ დღეს გაიმართება საზეიმო სხდომა. (საკ.დესი).

## საქართველოს კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება

**კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებიდან.**

* * *

### მცხეთის მტს-ში

**ვალერიან მაისურაძე** წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ვალდებულებით უნდა მომკას 400 ჰექტარი, უკვე აღებული აქვს 206 ჰექტარი. დღეში იღებს 15-18 ჰექტარს ნაცვლად გათვალისწინებული 12 ჰექტარისა, თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 13 ცენტნერ ხორბალს. ამ მოწინავე კომბაინერს დღეს გადაეცემა მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა.

**ალექსანდრე ბულათაშვილმა** წილკნის კოლმეურნეობაში დაამთავრა მოსავლის აღება და გადავიდა ითხვისის კოლმეურნეობაში. თორმეტ დღეში მომკა 180 ჰექტარი. დღეში მკის 14-15 ჰექტარს, ვალდებულება კი 12 ჰექტარის აღებას ითვალისწინებს. თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 17-18 ცენტნერ მარცვალს.

**გიორგი ბულათაშვილი** მუშაობს სოფელ წეროვნის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. მომკა 175 ჰექტარი, დღეში იღებს 14 ჰექტარს ნაცვლად 10 ჰექტარისა.

**სიმონ შუმლაური** შეუფერხებლად ამუშავებს თვითმავალ კომბაინს ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. ყოველდღიურად მოსავალს იღებს 12-13 ჰექტარზე ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა.

### კაჭრეთის მტს-ში

**ნოე კაპანაძე** დაუღალავად შრომობს და წარმატებასაც აღწევს. მან 13 ივლისს მელაანის კოლმეურნეობაში მომკა 20 ჰექტარი ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 14 ჰექტარისა.

**ივანე ბარბაქაძე** მუშაობს „კომუნარის“ მარკის კომბაინზე. მას ვალდებულება აქვს ნაკისრი ყოველდღიურად მომკას 10 ჰექტარი, ფაქტიურად მკის 15 ჰექტარს და თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 15-16 ცენტნერ ხორბალს.

**სიკო არუთინაშვილმა** 13 ივლისს მოსავალი აიღო 15 ჰექტარზე და გალეწა 32 ტონა მარცვალი. დღემდე სოფელ არაშენდის კოლმეურნეობაში მომკილი აქვს 160 ჰექტარი.

**გიორგი ღვინიაშვილი** „კომუნარით“ დღეში მკის 14-15 ჰექტარს ნაცვლად გათვალისწინებული 10 ჰექტარისა. თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 20-25 ცენტნერ ხორბალს.

**სულიკო ბადრიაშვილმა** 13 ივლისს სოფელ ჯიმითის კოლმეურნეობაში „სტალინეც-6“-ით მომკა 20 ჰექტარი და გალეწა 42 ტონა მარცვალი.

### თამარისის მტს-ში

**პუსეინ ყურბანოვმა** ხუთ დღეში 180 ჰექტარი პურეული მომკა სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობაში და გალეწა 164 ტონაზე მეტი მარცვალი. დღეში იღებს 30-32 ჰექტარს. ვალდებულებით კი უნდა აიღოს 12 ჰექტარი.

**ნადირ მამედოვი** ამავე კოლმეურნეობაში დღეში მკის 30 ჰექტარს. ხუთ დღეში აღებულა აქვს 146 ჰექტარი.

**აბდულ მეხრაზადე** მუშაობს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. მან ხუთ დღეში მოსავალი აიღო 105 ჰექტარზე. ყოველდღიურად იღებს 25 ჰექტარს და თვითეულ ჰექტარზე ლეწავს 16-17 ცენტნერ ხორბალს.

**ვალი გასანოვმა** კარგად მოაწყო კომბაინის სადღეღამისო მუშაობა და მკის 34 ჰექტარს ნაცვლად 12 ჰექტარისა. ხუთ დღეში აღებული აქვს 182 ჰექტარი, ხოლო გალეწილი — 198 ტონა მარცვალი.

თამარისელი კომბაინერები იბრძვიან იმისათვის, რომ მოსავლის აღება დამთავრონ 20 ივლისამდე.

# მოსკოვი

### ა. ხაჩატურიანის ახალი ბალეტი

**სსრ კავშირის დიდმა თეატრმა და ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა დასადგმელად მიიღეს ა. ხაჩატურიანის ახალი ბალეტი „სპარტაკი“.**

**ახალი ბალეტის ავტორმა ამოცანად დაისახა მუსიკაში განესახიერებინა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი სახელოვანი გმირი, რომის აჯანყებული მონების ბელადი სპარტაკი.**

**როგორც ა. ხაჩატურიანი აღნიშნავს, მისი ახალი ნაწარმოების ძირითად თემას შეადგენს თავისუფლებისათვის ბრძოლა. კომპოზიტორს და ლიბრეტოს ავტორს ნ. ვოლკოვს სურდათ რაც შეიძლება მკაფიოდ ეჩვენებინათ იმ ეპოქის ხელისკვეთება, როცა მოხდა აჯანყება სპარტაკის ხელმძღვანელობით.**

**ლენინგრადში ახალ ბალეტს დადგამს ი. მოისეევი, მხატვარია დ. ვირსალაძე.**

### საქართველოს ცეკვის ანსამბლი გამოფენაზე

**ჩვენი ქვეყნის სხვა საუკეთესო შემოქმედებითს კოლექტივებთან ერთად სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გამოვა საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლი, რომლის ხელმძღვანელები არიან რესპუბლიკის სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი.**

**ანსამბლი მონაწილეობას მიიღებს დიდ კონცერტში, რომელიც გაიმართება გამოფენის გახსნის დღეს — 1 აგვისტოს, სულ კი გამოფენაზე გამართავს 4 კონცერტს. გარდა ამისა, აგვისტოშივე სამ კონცერტს გამართავს დედაქალაქის კულტურისა და დასვენების პარკებში.**

### კინოფილმი კოლხიდის დაბლობზე და სამგორზე

**სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შეკვეთით კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ გამოუშვა დოკუმენტალური ფილმი „კოლხიდის დაბლობის ამოშრობა და სამგორის მორწყვა“. ფილმის რეჟისორია შ. მარტაშვილი, ოპერატორი — გ. უსეინაშვილი.**

**საგამოფენო კომიტეტმა ამ დღეებში მიიღო ეს ფილმი, რომელშიც ნაჩვენებია დაშრობილი ჭაობების ადგილას გაშენებული ჩაის, ციტრუსებისა და ეთეროვანი კულტურების პლანტაციები, საუცხო გზატკეცილები, ახალი საკოლმეურნეო სოფლები.**

**ფილმში ნაჩვენები არიან აგრეთვე გამოფენის კანდიდატები კოლხიდმშენიდან. ფილმს აჩვენებენ საქართველოს სსრ პავილიონში.**

### ხახლები გამოფენის მონაწილეთათვის

**იაროსლავლის გზატკეცილის რაიონში შენდება სასტუმროს ტიპის მრავალი ხუთსართულიანი სახლი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო ეკონომიურ გამოფენის ექსპონენტებისა და ექსკურსანტებისათვის. ამჟამად ფართოდ მიმდინარეობს 15 ასეთი შენობის აგება. ამ სახლებს 2.000-მდე ოთახი ექნებათ.**

**სახლების პირველ სართულებში მოთავსებული იქნება სასურსათო მაღაზიები, სასადილოები, საპარიკმახეროები, ფოსტა-ტელეგრაფი, შემნახველი სალაროები, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები.**

**შენობები მზად იქნება გამოფენის გახსნის დღისათვის.**

ს. რიჟინაშვილი.
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბაქო, 13 ივლისი. (საკ.დესი). აქ გაიმართა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ამოცანები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებათა შესრულების საქმეში.

აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. სეიდოვის, საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ამხ. მირზოევის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის ამხ. სულეიმანოვის მოხსენებებში, კამათის მონაწილეთა სიტყვებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მიაღწიეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის ერთგვარ გაუმჯობესებას.

ამასთან ერთად პლენუმმა გამოავლინა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დიდი ნაკლოვანებანი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილი დარგი რესპუბლიკაში კვლავ მეცხოველეობაა.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო დადგენილება. დადგენილებაში დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ბამბის ნათესების მოვლის გაძლიერება, მარცვლეულის მოსავლის სანიმუშოდ აღება, 1954 წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფა.

## რუსთავის მებრძმედეების პირველი დეკადა

განვლო პირველმა, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მატიანეში ღირსშესანიშნავმა დეკადამ — ათმა დღემ მას შემდეგ, რაც სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პირველ ბრძმედში პირველად ჩატვირთეს დაშქესანური მადანი, ჭიათურის მარგანეცი და სხვა წიაღისეული ნედლეული, რათა ქვეყანა გაეხარებინათ ჩვენებური თუჯის სხმულის დაბადებით.

ეს პირველი დეკადა რუსთავის ახალგაზრდა მებრძმედეების — ვ. კობერიძის, ა. ყაზარაშვილის, კ. კარდელაკის, ვ. გოგიძის, პ. პაპაკოვის, ა. ფარეშიშვილის, ქ. პატიაშვილის, ე. გელიაშვილის, მ. ავეტიკოვის, ა. მაზიაშვილის, ათობით სხვა ჩვენი, აწ უკვე სახელოვანი მებრძმედეების ტექნიკური სიმწიფისა და შრომითი სიმამაცის გამოცდის პერიოდი იყო. ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარეს საქართველოს ახალგაზრდობის ამ საუკეთესო წარმომადგენლებმა, დიდი რუსეთისა და მოძმე უკრაინის მეტალურგიული ქარხნების საბრძმედე საამქროებში აღზრდილებმა.

საბრძმედე საამქროს უფროსმა, გამოჩენილმა კრაშატორსკელმა მებრძმედემ ინჟინერმა ი. ბესპალოვმა განაცხადა:

— რუსთავში უკვე ამუშავებული საბრძმედე საამქროს ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით არის მოწყობილი. ჩვენი მებრძმედეები ცეცხლოვით ბიუები ორიან — მონდომებულნი, საქმისათვის თავდადებულნი, ალღოიანნი. განვლილი დეკადის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ დაშქესანური მადანი საუკეთესოა არა მარტო რკინის შემადგენლობის მიხედვით, არამედ ტექნოლოგიური თვისებებითაც. მაშასადამე, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს შექმნილი იმისათვის, რომ წარმატებები მოვიპოვოთ მებრძმედეთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, უწინარეს ყოვლისა ვისარგებლოთ მოწინავეთა გამოცდილებით და შემდეგ თვითონ მივცეთ სხვებს მაღალნაყოფიერი მუშაობის საუკეთესო მაგალითები.

საბრძმედე საამქროს ახალგაზრდა კოლექტივი უნარიანად მუშაობს, წარმატებით ზრდის თუჯის გამოშვებას და მზარდი ტემპით ითვისებს ბრძმედის წარმადობას. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ისეთი წარმატებით, როგორიც რუსთავშია, იშვიათია ახალი ბრძმედის სრული სიმძლავრით ათვისება. განვლილ დეკადაში ბრძმედის წარმადობის ათვისება შეუნელებელი მზარდი ტემპით ხდებოდა.

პირველ დღეს გარკვეული რაოდენობით (ტონობით) გამოშვებულ იქნა თუჯის სხმული, მეორე დღეს ღუმელში ჩატვირთეს ორჯერ მეტი მადანი და თუჯის შემადგენელი სხვა კომპონენტები; მესამე დღეს მიღებულ იქნა 10 ტონით მეტი თუჯი, ვიდრე მეორე დღეს, მეოთხე დღეს 30 ტონით მეტი, ვიდრე მესამე დღეს, და ა. შ.

მებრძმედეებს გადაწყვეტილი აქვთ ასევე თანდათან მზარდი ტემპით განაგრძონ მუშაობა და უახლოეს რამდენიმე თვეში უზრუნველყონ მოწინავე საბჭოთა მებრძმედეების თანაბარი მაჩვენებლების მოპოვება — საბრძმედე ღუმელის ქვედის ყოველ კუბმეტრზე გაცილებით მეტი თუჯის მიღება, ვიდრე ნორმით არის გათვალისწინებული.

— საერთოდ საბრძმედე საამქროში, ხოლო განსაკუთრებით ისეთ საბრძმედე საამქროში, რომელიც ეს-ეს არის იწყებს მუშაობას და ისიც ახალგაზრდა კადრებით, — თქვა საბრძმედე საამქროს მოწყობილობის და დანადგარების ინჟინერმა მ. კალაჩოვმა, — მთავარია მუშობაში შეწყობილობა, კოლექტივის ერთ მთლიან ძალად შედუღება. ივანე ბესპალოვი, სახელოვანი კრაშატორსკელი მეტალურგი, ჩვენც, მასთან ერთად მომუშავე სპეციალისტები ვამაყობთ, რომ წილად ვგხვდა ამ საპატიო ამოცანის შესრულება — საქართველოს ახალგაზრდა მებრძმედეთა კოლექტივის სათავეში ჩადგომა და აღზრდა. არ დავიშურებთ შრომას, ენერგიას, მთელ ჩვენს ცოდნას, გამოცდილებას ისეთი შესანიშნავი ახალგაზრდებისათვის, რომლებიც, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ახალი საწარმოო მიღწევების მოპოვებით ასახელებენ მასწავლებლებსაც და მთელ რესპუბლიკასაც.

სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ახლადამუშავებული საბრძმედე საამქროს მებრძმედეები (მარცხნიდან მარჯვნივ): პ. პაპიკოვი, მ. კიკვიძე, ქ. პატიაშვილი, დ. ჯანელიძე, ა. ფარეშიშვილი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რუსთავის პირველი თუჯის გამოდნობაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

## ა. ბ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავის მომწყობ სრულიად საკავშირო კომიტეტში

14 ივლისს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირში კ. ა. ფედინის თავმჯდომარეობით გაიმართა ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავის მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ბელორუსიასა და აზერბაიჯანში ჩეხოვისადმი მიძღვნილი დღეების შესახებ ინფორმაცია გააკეთეს მწერლებმა პ. ბროვკამ და მ. იბრაგიმოვმა. რესპუბლიკებში შეიქმნა კომიტეტები, კითხულობენ ლექციებსა და მოხსენებებს, მოეწყო გამოფენები, რომლებიც აუქმებენ დიდი რუსი მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო სესია. ბელორუსიის სახელმწიფო გამომცემლობა ღირსსახსოვარი თარიღისათვის უშვებს ა. პ. ჩეხოვის რჩეულ ნაწარმოებთა ერთტომეულს. აზერბაიჯანში გამოდის ა. პ. ჩეხოვის რჩეულ ნაწარმოებთა ორტომეული. მინსკსა და ბაქოში გაიმართება საზეიმო სხდომები.

ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავს ფართოდ აღნიშნავენ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელები. 15 ივლისს დღისით მწერლის საფლავთან ნოვო-დევიჩის სასაფლაოზე გაიმართება სამგლოვიარო მიტინგი. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ამ დღეს გაიმართება საზეიმო სხდომა. (საკ.დესი).

## გ. მ. მალენკოვმა მიიღო სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე დ-რი საიფუდინ კიჩლუ

13 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. მ. მალენკოვმა მიიღო სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე დ-რი საიფუდინ კიტჩლუ, რომელიც მოსკოვში ემყოფება მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტისა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით.

## ბრძანებულება

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მწერალ ვ. ვ. ოვეჩკინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

**მხატვრული ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას მწერალი ვალენტინ ვლადიმირის-ძე ოვეჩკინი შრომის წითელი დროშის ორდენით.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.**

**მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 10 ივლისი.**

# შირაქმა გული გაიხსნა, მოვიდა პურის ბარაქა

★ ★ ★

პურეულის მკა მასობრივად გაჩაღდა. კოლმეურნეობები მკის პირველი დღეებიდანვე აჩაღებენ საბჭოთა ხახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებას. წითელწყაროს რაიონს სამართლიანად უწოდებენ საქართველოს პურის ბელელს. მოდის კახური პური. შირაქის გულში ხორბლის ბარაქიანი მოსავალია. პური ჩვენი სამშობლოს ძლიერების წყაროა, კოლმეურნეების სიმაგრეა. კოლმეურნეები, მექანიზატორები ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებისთანავე ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის, პირველხარისხოვანი ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის, პურის დამზადების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამ გვერდში მოთავსებული მასალები მოგვითხრობენ შირაქის გულში მომუშავე მექანიზატორთა და კოლმეურნეთა გამოცდილებაზე ახალი, მოწინავე, პროგრესული წესის დანერგვის საქმეში, ბეჯით შრომაზე, რომელსაც ისინი ეწევიან პურეულის უდანაკარგოდ ახალებად, მაკლოვანებებზე, რაც ხელს უშლის ტექნიკას უკეთ გამოყენებას, და იმ დიად პერსპექტივაზე, რაც გადაშლილია კოლმეურნეთა წინაშე პურის მაღალი მოსავლის მოყვანით.

## გადამწყვეტი ძალა

გამარჯვების მტს-ის მექანიზატორებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღება საყოველთაო-სახალხო საქმეა. ამიტომ მათ დროულად მოამზადეს კომბაინები, პურეულის აღების ძირითადი მანქანები. თავის დროზე მომზადდა 33 კომბაინი. საგაზაფხულო სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში დავამთავრეთ. დათესილია 2.615 ჰექტარი ნაცვლად 2.463-ისა. ნაკლი ის არის, რომ ვერ შეასრულეთ კვადრატულ-ბუდობრივად თესვის გეგმა. მოსავლის აღების დაწყებამდე 20 დღით ადრე გამოვყავით დამატებით სპეციალური კომბაინა კომბაინების რემონტის ხარისხის შესამოწმებლად. შემოწმების შედეგად გამოვლინებული დეფექტები დროულად გამოვასწორეთ.

წელს მტს-ის ზონის მომსახურების კოლმეურნეობებში მოსავალი უნდა ავიღოთ 8.583 ჰექტარზე. 3 ივლისიდან გაჩაღდა მკა. 12 ივლისისათვის აღებულია 2.750 ჰექტარი. ამ ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვლეულია მიღებული.

ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა და კომბაინერებს შორის. მოწინავე ბრიგადებისა და კომბაინერებისათვის დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა. კარგად არის მოწყობილი საagიტაციო-მასობრივი მუშაობა მინდვრად. თვითეული კომბაინის აგრეგატზე და კალოზე გამოყოფილია აგიტატორები, ყოველდღიურად გამოდის საველე გაზეთები, სისტემატურად იღებენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. მტს-ში მოწყობილი გვაქვს საპატიო დაფა, სადაც სისტემატურად ხდება მოწინავეთა ჩვენება. კომბაინის აგრეგატებთან რადიოკავშირი გვაქვს. ამ მიზნით მოწყობილია 11 რადიოდანადგარი.

კომბაინის სრული დატვირთვით გამოყენებისათვის ალექსი დათუკაშვილმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია კომბაინერი ა. ჭრელაშვილი. ა. დათუკაშვილმა ვალდებულება აიღო „სტალინეც-6“ კომბაინით 20 სამუშაო დღეში მოსავალი აიღოს 430 ჰექტარზე, გალეწოს 1.000 ტონა მარცვალი.

მოსავლის აღების პირველივე დღეებში დაწინაურდა კომბაინერი ალექსი დათუკაშვილი, რომელმაც არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადის ნაკვეთზე 11 სამუშაო დღეში 138 ჰექტარზე აიღო მოსავალი და გალეწა 287 ტონა მარცვალი. ესაპარცეტი აიღო 40 ჰექტარზე. მან საშუალოდ ჰექტარზე 28,5 ცენტნერი ხორბალი მიიღო. დათუკაშვილს გადაეცა წითელი დროშა წარწერით: „მოწინავე კომბაინერს“. დროშების გადაცემა დიდ ინტერესს იწვევს მექანიზატორთა შორის. კომბაინერები დაინტერესებული არიან, რომ მათს აგრეგატებზე ფრიალებდეს წითელი დროშები.

მოსავლის აღებასთან პარალელურად მიმდინარეობს სათესლე მასალის გაწმენდა-დახარისხება, რაზეც მუშაობს ორი საწმენდი მანქანა „ვიმი“. ხორბლის გაწმენდისათვის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მოწყობილია ერთი მექანიკური კალო, ხოლო დამატებით მოეწყობა კიდევ ერთი. ჩვენი მტს-ი კიდევ უფრო გააძლიერებს კოლმეურნეობებისადმი დახმარებას, უფრო უკეთ გამოიყენებს მძლავრ ტექნიკას მოსავლის ორგანიზებულად აღებაში. მით უმეტეს, რომ მანქანა-ტრაქტორთა სანდური გადამწყვეტი ძალაა საკოლმეურნეო წარმოებაში.

**ვ. ფიცხელაური,**
გამარჯვების მტს-ის დირექტორი.

## ჩვენი საპატიო საქმე

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში მეათე კალოობას შეესწარ. კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შეხმატკბილებულმა მუშაობამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. წელს აქ პურის დიდი მოსავალია. საბჭოთა ადამიანის გული სიამოვნებით ივსება, როცა პურას ამ ხვავსა და ბარაქას შეჰყურებს.

დიდად აღმაფრთოვანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებამ იმის შესახებ, რომ კომბაინერის მუშაობა შეფასდება არა მარტო სეზონური გამომუშავების, არამედ აგრეთვე დღიურ დავალებათა შესრულების მიხედვით, არა მარტო მომკილი ჰექტარების რაოდენობის, არამედ უწინარეს ყოვლისა ჰექტარზე გალეწილი მარცვლეულის რაოდენობის მიხედვით. კომბაინერი დიდი ყურადღებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენი შრომა დიდების საქმედ არის გადაქცეული. კომბაინერი მართლაც რომ ცენტრალური ფიგურაა მოსავლის აღებაში. პარტიამ, მთავრობამ ჩვენ, კომბაინერებს, ბევრი რამ მოგვცეს და ამიტომ ბევრიც მოგვეთხოვება. ეს კარგად გვაქვს შეგნებული. კომბაინის აგრეგატი დროულად დავაკომპლექტეთ და ყოველმხრივ მომზადებული შევხვდით პურის მკას.

გავეცანი რა სტავროპოლის მხარის პეტროვსკოეს მტს-ის კომბაინერთა მოწოდებას კომბაინის თვითეული აგრეგატის მიერ დღიურ დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის, მარცვლეულის მაღალი გამოსავლიანობისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ, სხვა ამხანაგებთან ერთად ერთსულოვნად დავუჭირე მხარი მეგობრების შესანიშნავ პატრიოტულ თაოსნობას და ჩავები სოციალისტურ შეჯიბრებაში. ვალდებულება ვიკისრე „სტალინეც-6“ კომბაინით 20 სამუშაო დღეში მოსავალი ავიღო 450 ჰექტარზე და გავლეწო 1.000 ტონა მარცვალი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული მყავს ქარელის რაიონის რუსის მტს-ის ცნობილი კომბაინერი იოსებ ტიტვინიძე.

მუშაობაში გვაქვს შემაფერხებელი მიზეზები — ბუნკერებიდან მარცვლეულის გამოტანას ვერ ასწრებენ. ამიტომ კომბაინი ხშირად ცდება. აუცილებელია გაუმჯობესდეს კომბაინის მომსახურება კოლმეურნეობის მხრივ მუშახელითა და ტრანსპორტით. მაშინ თავისუფლად შევძლებ დღეში მოვმკა 25 ჰექტარი და კიდევ მეტი. ამის მაგალითი არის. წელს ერთ დღეში 34 ჰექტარზე ავიღე ქერის მოსავალი და 85 ტონა გავლეწე.

**ი. მელიქიშვილი,**
შირაქის მტს-ის კომბაინერი.

## საჭესთან არის იოსებ ყორიაული

ოქროსფრად ლივლივებს ამ დღეებში შირაქის ველი. უწინდელი მეუდროება მინდვრის ხომალდებს დაურღვევიათ. გუგუნებენ კომბაინები. მზითა და ჰაერით, ზაფხულის ხვავითა და ბარაქით გალაღებულ ფრინველთა ყივილ-ხმაურს უერთდება ადამიანთა ყრიალი და ფაციფუცი.

ცხარე დღეებია შირაქში. უხვად შემოსულ მოსავალს ღღებენ. მოედინებიან ლამაზად მორთული, პლაკატებითა და ლოზუნგებით დამშვენებული ავტომანქანების კოლონები. ეს — პირველი განალეწი პური ბარდება სახელმწიფოს.

ოქროს ზღვაში შეცურებულან კომბაინები. დღითა და ღამით ხმიანობს შირაქის ველი. ახლა ღამეა, მაგრამ არა სძინავს გულშირაქს. პროჟექტორებივით ანათებენ კომბაინების ბრიალა ფარნები.

შორს, ყანის სიღრმეში ორი კომბაინი მხარდამხარ მოგუგუნებს. ნუთუ ასე ახლოს? ცნობისმოყვარეობა მიგვაჩქარებს იმ კომბაინებისაკენ. პირისპირ ვხვდებით. თითქოს ორნი შესაჯიბრებიან ერთმანეთს და ერთს გაუსწრიაო. მაგრამ როგორ ჩასჯიდებიან ერთმანეთს?

ვუახლოვდებით.

სად არის მეორე ტრაქტორი? ეს რაღაც არა ჭკვის თვითმავალს — წინ მბოლოდ ერთი ტრაქტორი გუგუნებს და ირიბად გადაბმულ ამ მძლავრ კომბაინებს მიაგელვებს. ასეთი რამ საქართველოს მინდვრებში ჯერ არ გვინახავს.

ეს ხომ ის არის, რაც გაზეთებში ამოგვიკითხავს სახელოვან უკრაინელ ნოვატორ მექანიზატორთა ინიციატივის შესახებ? — ერთი კომბაინერი ორ აგრეგატზე!

მათთვის მიუბაძავს ქართველ კომბაინერსაც.

ვისაც უკრაინის ზღვად გადაშლილი ველები უნახავს, უთუოდ მსგავსებას ნახავს გულშირაქშიც, სადაც სანთლისფერ თავთავებიან პურის ყანებს ნაპირი არ უჩანს.

იქნებ მსგავსმა რელიეფმა გააბედვინა ქედის მტს-ის სახელგანთქმულ კომბაინერს იოსებ ყორიაულს მიებაძა უკრაინელი ნოვატორებისათვის? უთუოდ ასეც არის, მაგრამ ოცდაოთხი წლის გამოცდილებამაც მოაკიდინა ხელი ამ დიდი საქმისათვის ნოვატორ მექანიზატორს...

...მოსავლის აღების წინადღეებში იოსებ ყორიაული პარტიის წითელწყაროს რაიკომში გამოიძახეს. გამოცდილ მექანიზატორს პასუხსაგები დავალება მისცეს. როცა მდივანი ესაუბრებოდა, იოსები დუმდა, გონების თვალით სჯიდა მდივნის წინადადებას.

— გიძნელდება? კეთილი.

— არა, ამხანაგო მდივანო, — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ წარმოთქვა იოსებმა.

— ცნობილი ოსტატი ხარ, გამოცდილი მექანიზატორი. შეძლებ ერთი ტრაქტორით ორი კომბაინის მართვას. ეს პრაქტიკა უკრაინაშია დამკვიდრებული. ვცადოთ ჩვენც. ამას გვირჩევენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მცოდნე ადამიანები. გაგვიმართლებს კიდეც.

— არ ვიცი, ნება მომეცით მოვიფიქრო.

შეთანხმდნენ.

ყორიაული ავტომანქანით ქედისაკენ მიჰქროდა. მისი ფიქრი და გონება მხოლოდ ერთს შეეპყრო — როგორ მოაწყობდა ორ კომბაინზე მუშაობას.

ვრცელი მინდვრების მაღალ ყანებში იმალება ავტომანქანა. ამ ყანების მაცქერალს იოსებს გული აუძგერდა. წელწადია მისი ხომალდი არ შეცურებულა ამ ზღვად გადაშლილ ყანებში. მან ახლა ისე სწყურია ყანებში შეჭრა, როგორც დაგვალულ მიწას წვიმა.

გადაწყდა. ეს დიდებული იქნება. ვიმუშავებ ორ აგრეგატზე. ათი-თხუთმეტი კაცის შრომა შემცირდება. ორი ტრაქტორის ნაცვლად — ერთი. საწვავის დანაზოგი. მშვენიერია. ვიმუშავებ.

ამ გადაწყვეტილებით გატაცებული ყორიაული ავტომანქანამ ქედის მტს-ის ეზოში შეაქროლა.

ეზოში საშუალო ტანის, ჭაღარა, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდული იერის ტრაქტორისტი შემოეგება.

— გიორგი, დავალებაა, დამფიქრებელი დავალება. შენი მხარდაჭერით იქნებ შევძლოთ.

### ორი კომბაინით მოსავლის აღების ოსტატი

— მიამბე, — ცნობისმოყვარეობით უთხრა მეგობარ მექანიზატორს ჭაღარა ტრაქტორისტმა გიორგი ყიფიაშვილმა, — რამ დაგაფიქრა. რა იქნება ისეთი, რომ ვერ შევძლოთ.

— ერთი ტრაქტორით ორი კომბაინის მართვა, გიორგი!

ცოტა არ იყოს გიორგიც დაფიქრდა, მაგრამ თითქოს სწრაფად მიიღო გადაწყვეტილებაო, წამოიძახა:

— კეთილი. მე შენთან ვარ!

და ორივენი მტს-ის დირექტორის კაბინეტში შევიდნენ. აქ სხვა მექანიზატორებსაც მოეყარათ თავი. დირექტორის კაბინეტში ისეთი დაძაბულობა სუფევდა, როგორც ფრონტზე პოლკის შტაბში შეტევაზე გადასვლის წინ.

და ესეც ხომ ფრონტია, მაგრამ მშვიდობის ფრონტი — პურის ფრონტი.

დირექტორის კაბინეტი. კედელზე ზონის რუკაა გაკრული. რუკასთან დირექტორი დგას. ირგვლივ შემოკრებილან მექანიზატორები — ტრაქტორისტები და კომბაინერები, მეშტურვალეები და ავტომძღოლები, აგრონომები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები.

რუკაზე გულშირაქია. შემოსული ყანები. პირველად სად შეიკრიბიან ხომალდები? ზეგ შეტევა იწყება. ექვსი ათას ცხრასი ჰექტარი გადაკვეთილია ამ პატარა რუკაზე.

— პირველი პური საბალოლდან წამოვა, ამხანაგებო! — ამბობს ქედის მტს-ის დირექტორი გიორგი ერიაშვილი.

საბალოლო! — საქართველოს და მომმე აზერბაიჯანის მიჯნა. პურის თავთავებით დაფარული ალაზნის ველები.

— აქ პირველად შეიკრება ყორიაულის ხომალდი! — თქვა ერიაშვილმა.

ყველამ ყორიაულისაკენ მოიბრუნა თავი. იგი ჩვეულებრივი სიდინჯით იდგა და თავისთვის ფიქრობდა. თითქოს რაც გარშემო ხდებოდა და რაც ესმოდა, მას არ ეხებოდა. მის გვერდით იდგა ტრაქტორისტი ყიფიაშვილი.

— ხომალდები, ამხანაგო გიორგი! — მრავალმნიშვნელოვნად შეუსწორა იოსებმა მტს-ის დირექტორს.

— ცხადია, ხომალდები! შენთან ერთად გავლენ ბერო ჩოხელის და ვახტანგ თეთრაულის კომბაინებიც.

— მე ამაზე არ მოგახსენებდით — ჩემი ორი კომბაინი უნდა შეიკრას! — ჩვეული სიდინჯით ჩაურთო ყორიაულმა.

— ჩემი ერთი ტრაქტორით ყორიაულის ორი კომბაინი იმუშავებს, ამხანაგო გიორგი! — მხარი დაუჭირა იოსებს ტრაქტორისტმა ყიფიაშვილმა.

ყველამ ცნობისმოყვარეობით შეავლო თვალი კომბაინერსა და ტრაქტორისტს.

— შეთანხმდით, იოსებ? ყოჩაღ! მე კი რატომღაც არ მეგონა, თუ გაბედავდი.

— საქმე მოითხოვს. უნდა შესრულდეს.

— ეს ხომ სათესი მანქანები არ არის, იოსებ, გაგიძნელდება!

მაგრამ იოსების მტკიცე გამოხედვა, მისი ღრმად დაჯერებული და დამარწმუნებელი სიტყვები ეჭვებს უანტაგდა.

...ახლა ღამეა, მაგრამ რა დროს ძილია. იოსებ კომბაინის საჭესთან დგას. მისი ორი კომბაინის ფარნები ჰკვეთენ ვრცელ ყანებში ჩაწოლილ სიბნელეს. პურის აღება სეზონური საქმეა, მოცდა არ უყვარს. ამიტომ ასწორებენ დღესა და ღამეს იოსებ ყორიაული და გიორგი ყიფიაშვილი. იოსები დაძაბული ყურადღებით უცქერის ხედერს, რომელიც თითქოს ნაზად ეჩურჩულება მოშრიალე ოქროს თავთავებს. მარტო პურის ხარისხიანად აღებაზე როდი ფიქრობს იგი — ერთდროულად პირუტყვზეც ზრუნავს და ხედერს ისე ოსტატურად მართავს, რომ ათ ხანტიმეტრზე ზევით არ იკრება ყანა, რათა ნამჯის უფრო უხვი მარაგი შეიქმნას მეცხოველეობას. ეგი დროგამოშვებით მეორე კომბაინს შეავლებს თვალს, სადაც საკესთან დგას მეშტურვალე კომკავშირელი ანზორ თეთრაული.

— ხედერი დაბლა, თეთრაულო, ნამჯა მუდამ გახსოვდეს!

...ყორიაულის აგრეგატმა რვა და ცხრა ოვლიხს ოთხმოცდათ ჰექტარზე აიღო მოსავალი და ორას ოცდათოთხმეტი ტონა მარცვლეული გალეწა ორი კომბაინით. როცა აღმრიცხველებმა შედეგები შეაჯამეს, აღმოჩნდა, რომ მას ჰექტარზე ოცდაექვსი ცენტნერი ხორბალი აუღია. ათ დღეში მან მოსავალი აიღო 490 ჰექტარზე ნაცვლად 480-ისა.

ყორიაულის აგრეგატების მომსახურე ავტომანქანა, რომელსაც გიორგი ყუშიტაშვილი მართავს, ძლივს ასწრებს გალეწილი ხორბლის გატანას. ყორიაულის აგრეგატი უფრო მაღალ ნაყოფს მოგვცემდა ბუნკერების დაცლა მუშაობის პროცესშივე რომ ხდებოდეს. ამავე დროს ტრაქტორისტმაც უნდა იფიქროს სვლის სიჩქარის გადიდებაზე, თორემ ყორიაულთან შეჯიბრებული ბერო ჩოხელის აგრეგატი თავისი უფრო მაღალი მაჩვენებლებით — რვა დღეში 151 ჰექტარზე აღებული და 3.350 ცენტნერი გალეწილი მარცვლეულით საფრთხეს უქმნის ყორიაულს: ყორიაულთან შეჯიბრებაში დიდი ვალდებულება იკისრა ბერომ — ოც დღეში 450 ჰექტარზე აიღოს მოსავალი და 1.000 ტონა ხორბალი გალეწოს.

ცხოველმყოფელი და მომჯადოებელია განთიადი შირაქში, როცა თავის პირველ სპეტაკ, ოქროსფერ სხივებს დიდებული მზე გადმოფრქვევს ოქროსფერსავე ყანებს, როცა მინდვრები ახალი ძალით ცოცხლდება, როცა კოლმეურნეები, მექანიზატორები, დიდი და პატარა, მასობრივად ედებიან ყანებს, კალოებზე სიცოცხლე ჩქეფს.

აი ერთი კალოც...

გორებად აღმართულან შვინდისსიმსხო ხორბლის ხვავები. უწყვეტ ნაკადად მოედინებიან თვითსაცლელი ავტომანქანები და ბუნკერებთან მოტანილ ხორბალს აზავებენ. იქვე მახლობლად განუწყვეტელ მუშაობს ხორბლის საწმენდი მანქანა „ვიმი“, და რჩეული, დახარისხებული, მსხვილი მარცვალი ტომრებში იყრება. სავსე ტომრებით იტვირთებიან ავტომანქანები და მიეშურებიან ზაგოტზერნოს მიმღები პუნქტისაკენ.

ამ კალოს ხვავს ჰმატებს ყორიაულის განალეწი ხორბალიც. მისი აგრეგატი ახლა ქვემო ქედის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ფართობზე მუშაობს. ბრიგადირი დავით წიკლაური როდი აკლებს მზრუნველობას აგრეგატებს. აქ მექანიზატორებს უხვად აქვთ ნოყიერი საკმელი. დასვენების პირობებიც არის. ორგანიზებულად გამოდიან ბრიგადის წევრები, დამხმარე მუშახელიც. აგრეგატ თან სდევს დანაკარგების წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი. ამ ჯგუფმა ცხრა დღეში 3.239 კილოგრამი თავთავი აკრიფა. მარტო მოსწავლე მ. კობაიძემ 236 კილოგრამი თავთავი მოაგროვა.

მაგრამ ამ კოლმეურნეობაში ყველაფერი წესრიგზე როდია. კალო ბევრგან პრიმიტიულად არის მოწყობილი. გამოყენებული არ არის კომპლექსური მექანიზაცია. წვიმებისაგან ხორბლის დაცვის მიზნით კალოს ირგვლივ არხები ბაგურელია. კალოზე შვიდას-რვაას ტონობით ხორბალია დახვავებული და მის გასატანად ავტოტრანსპორტი არ ყოფნით. ამაში კი ძირითადად ბრალი მიუძღვის საქართველოს „ზაგოტრანსს“, რომელმაც ვერ გაითვალისწინა წლევანდელი უხვი მოსავალი და ნაცვლად 100-150 ავტომანქანისა მხოლოდ 35 მანქანა გამოუგზავნა მთელ წითელწყაროს რაიონს.

ერთი მიზნით, ერთი მისწრაფებით არიან ახლა გამსჭვალულნი შირაქელი, წითელწყაროელი კოლმეურნეები და მექანიზატორები — უდანაკარგოდ, ვადაზე ადრე აიღონ ხორბლის უხვი მოსავალი.

**ვ. თოლოდუა,**
**გ. ხეჩუაშვილი,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ვარლამ ჭურული

## ოქროს ხორგაღი

მზე აღმობრწყინდა — ცეცხლის ბორბალი,
ციდან დაანთო ხსივები მწველად.
მზემ დაამწიფა ოქროს ხორბალი
ქართლში, შირაქში, ალაზნის ველად.

თავთუხს თავთავი ძირს დაუხრია
და ყორიაულს უხმობს სამკელად:
— მალე ამიღე. მე თავთუხი ვარ,
სახელს მოიხვეჭ ხალხში სათქმელად!

მედგრად შეება მიწას ფოლადი,
გაისმის ირგვლივ გუგუნი მკვეთრი.
ჭარვისფერ ზღვაში ცურავს ხომალდი
და მეც „სტალინეცს“ ვუმღერი, ვეტრფი.

პური მოდის და ხვავდება მთებად,
დგება მინდვრებში მარცვლის სურნელი.
გული სიამით ტკბება და თბება
კოლმეურნეთა წინსვლის მსურველი.

ახლა არ სძინავს ლაზარიაშვილს,
არც ყველაშვილს ალაზნის პირას,
ღამეს ათევენ ნამჯის შრიალში,
უდევთ ნაბდები ბერმუხის ძირას.

ბელლებისაკენ დაძრულ ქარავანს
მიაქვს პირველი ოქროს ხორბალი,
უმზერს სიღნაღის ციხის გალავანს
ზე — ანთებული ცეცხლის ბორბალი.

წარჩინებული მექანიზატორი იოსებ ყორიაული ერთი ტრაქტორით მუშაობს „სტალინეც-6“ მარკის ორ გადაბმულ კომბაინზე და ქვემო ქედის კოლმეურნეობის ფართობზე ხორბლის უხვ მოსავალს იღებს.

**სურათზე:** ქვევით — ორი გადაბმული კომბაინი მოსავლის აღების დროს. **ზევით** — კომბაინერი ა. ყორიაული.

ფოტო ი. სირდილიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვენების დროს მოსავლის აღებაზე მომუშავე კოლმეურნეები და მექანიზატორები სადილობენ წითელწყაროს რაიონის კოოპერაციული კავშირის საველე სასადილოში.

ფოტო ვ. სირდილიანისა.

## მაღლიანი ზრომის ნაყოფი

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით ჩვენი კოლმეურნეობა აღმავლობის გზით მიდის. განმტკიცდა საზოგადოებრივი მეურნეობა, რამაც საფუძველი ჩაუყარა უხვ მოსავალს. წელს კოლმეურნეობამ მოსავალი უნდა აიღოს 5.300 ჰექტარზე. ამქამად ეს ყველაზე პასუხსაგები ამოცანაა.

ზემოქედელებმა ფართოდ გამოიყენეს მოწინავეთა გამოცდილება მაღალი მოსავლის მიღებისათვის. აგროწესების მაღალხარისხოვნად განხორციელებით — თავის დროზე მოხვნით, ჯიმინი თესლის გამოყენებით, ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად თესვით, სასუქების შეტანით, ჯეჯილის გამოკვებით, სარეველა ბალახებთან და მავნებლებთან ბრძოლით მოყვანილია უხვი მოსავალი.

მოსავლის აღებას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა მეორე ბრიგადა (ბრიგადირი არ. პაპაჩაშვილი), რომელიც პირველი გავიდა მინდვრად. ბრიგადამ შეძლო ტრანსპორტითა და ბუნკერებით უზრუნველეყო 3 კომბაინის მუშაობა.

ჩვენი სოფელი განიცდის წყლის ნაკლებობას. ალაზანს წყლის მოწოდება, რომლითაც ჩვენ საქნავთის ბურღვის კანტორა გვამარაგებს, ხშირად ფერხდება და სოფელი უწყლოდ რჩება. ეს აფერხებს კომბაინების მუშაობას. გარდა ამისა, მუშა-პირუტყვაც რჩება უწყლოდ. თუმცა კოლმეურნეობა ყოველწლიურად 95.000 მანეთს იხდის, წყალი საკმაო რაოდენობით მაინც არა გვაქვს.

კომბაინები მინდვრად გავიდნენ და კოლმეურნეობამ მოსავლის აღება დაიწყო 23 ივნისს. შემოდგომის ქერის აღება დავამთავრეთ 27 ივნისს. სამ დღეში ავიღეთ 300 ჰექტარი შემოდგომის ქერი და საშუალოდ ჰექტარზე გავლეწეთ 26 ცენტნერი. ცალკეულ ბრიგადებში კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლები გვაქვს.

ამასთან ზოგიერთმა კომბაინერმა ვერ შეძლო ინტენსიური მუშაობა. მაგალითად, შაქრო გუდაშვილის კომბაინმა 11 ივლისისათვის მხოლოდ 2 ჰექტარი მომკა. ეს იმიტომ მოხდა, რომ კომბაინი ცუდი შეკეთებული აღმოჩნდა. მეორე დღესვე დასჭირდა რემონტი. ამ კომბაინზე მუშაობა მოუხდა ისეთ კომბაინერს, რომელსაც რემონტში მონაწილეობა არ მიუღია.

კარგ მაჩვენებლებს იძლევიან კომბაინერები: ი. მელიქიშვილი, ი. ქიმოსტელი, მ. უშარიძე, შ. ყამარაული, ლ. ვარდაშოვი, რ. ყამარაული, რომლებიც მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ და ნორმებს 120-180 პროცენტით ასრულებენ. მოწინავე კომბაინერები უკვე გადავიდნენ სადღეღამისო მუშაობაზე. „სტალინეც-6“ მარკის 6 კომბაინი ზილიჩის მინდვრებში მთელ დღეღამეს მუშაობს.

კოლმეურნეობა წელს ბარაქიან მოსავალს იღებს. შემოდგომის ხორბლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 22-23 ცენტნერი იქნება.

კოლმეურნეებს თავდადებული შრომა დაუფასდებათ, ერთ შრომადღეზე ვვარაუდობთ გავცეთ 15 კილოგრამი ხორბალი. გარდა ამისა, განაწილდება მზესუმზირა, ცხვრის ყველი, ღვინო, ფული და სხვ.

ჩვენი კოლმეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგს წარმოადგენს მეცხოველეობა. კოლმეურნეობას ჰყავს 2.532 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, 14.363 სული ცხვარი. ზამთარს მომზადებული რომ შევხვდეთ, პროდუქტიულობა გავზარდოთ და სულადობა შევინარჩუნოთ, საჭიროა რაც შეიძლება მეტი საკვების დამზადება.

კოლმეურნეობას უნდა გაეთიბა 600 ჰექტარი ბალახი, ფაქტიურად გათიბა 1.300 ჰექტარზე მეტი. დამზადებულია 15.000 ცენტნერზე მეტი მაღალხარისხოვანი თივა. გარდა ამისა, ჩადებული იქნება 1.300 ტონა სილოსი. უკვე დასილოსებულია 920 ტონა. ახლა ყველა ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ დავამზადოთ ნამჯა და ბზე, რომლის გეგმა 90.000 ცენტნერია. საკვებას დამზადებაში გარდა საკვებმოპოვების ბრიგადისა აქტიურ მონაწილეობას იღებენ მემინდვრეობის ბრიგადებიც, რომლებმაც შეძლეს 325 ჰექტარი საუკეთესო, მაღალხარისხოვანი ბალახის გათიბვა.

კოლმეურნეობის მთელი ძალები დარაზმულია მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მოვიყვანოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი, ავამაღლოთ მეცხოველეობის პროდუქტიულობა და მოვიპოვოთ 1955 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება.

**არსენ კოკაიძე,**
წითელწყაროს რაიონის ზემოქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

## საველე სასადილო

წითელწყაროს რაიონის კოოპერაციულმა კავშირმა (თავმჯდომარე გ. მდივანი) ნაყოფიერი მუშაობა გასწია მოსავლის აღების წინა დღეებში. თავის საავჭრო ქსელში შემოზიდა 32 ათასი ტომარა, 10 ტონა თოკი, 2 ტონა კანაფი, ფიწლები, სასწორები, ცელები, ოთხი სატვირთო ავტომანქანა და 260 ცალი ავტოსაბურავი.

პურეულის მკის დროს მოწყობილია მოძრავი საავჭრო ფარდული. ქედის სოფლის კოოპერატივი ავტომანქანით მინდვრად დაატარებს ნოყიერ საკვებ პროდუქტებს, ცხელ საჭმელს, ცივ ლიმონათს და სხვ. საველე სასადილოს ხელმძღვანელობს მებუფეტე გ. ყაზაროვი, სასადილოს მსდევენ აგრეთვე დამტარებელი ს. იარალოვი და მზარეული უ. ჯანიბეგაშვილი. კოლმეურნეებს, მექანიზატორებს არ აკლიათ პაპიროსი, ასანთი და სხვა პირველი მოთხოვნილების პროდუქტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი

## ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავი

★ ★

## აქ ცხოვრობდა და მუშაობდა...

„უსაზღვროდ შემიყვარდა მოსკოვი... სამუდამოდ მოსკოველი გავხდი," — სწერდა ა. პ. ჩეხოვი თავის ერთ-ერთ ამხანაგს, რომელთანაც ტაგანროგის გიმნაზიაში ერთად სწავლობდა.

ა. პ. ჩეხოვი მოსკოვს ჩავიდა 1879 წელს ტაგანროგის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ და დადგა სახლში დრაჩოვკაზე — ახლა ტრუბნაიას ქუჩაზე, სადაც მისი ნათესავები ცხოვრობდნენ. მალე ნათესავები გადავიდნენ იმავე ქუჩაზე № 23 სახლში, ამ შენობაში 1880 წელს ანტონ ჩეხოვმა — მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა დაწერა თავისი პირველი მოთხრობები: „წერილი სწავლულ მეზობელს" და „დონელი მემამულის წერილი", რომელიც დაბეჭდილი იყო ჟურნალ „სტრეკოზაში".

აი სახლი ბოლშაია იაკიმანკის ქუჩაზე, აქ ანტონ პავლეს-ძე დადგა 1886 წლის დამდეგს. ამ სახლში მან მიიღო მწერალ გრიგოროვიჩის წერილი, რომელშიც იყო შემდეგი ღირსშესანიშნავი სიტყვები:

„...თქვენ ნამდვილი ნიჭი ხართ, — ნიჭი, რომელიც ახალი თაობის ლიტერატორთა წრეზე დიდად მაღლა გაყენებთ".

ა. პ. ჩეხოვს ბინა ჰქონდა ამ სახლის პირველ სართულში, ხოლო მეორე სართულს ვაჭართა ქორწილების მოსაწყობად აქირავებდნენ ხოლმე. ამ პერიოდში დაიწერა პიესა „ქორწილი".

ზევრი მოსკოველი კარგად იცნობს ძველებურ ორსართულიან № 6 სახლს სადოვო-კუდრინსკაიას ქუჩაზე, სადაც ანტონ პავლეს-ძე ოთხ წელიწადზე მეტ ხანს ცხოვრობდა — 1886 წლის შემოდგომიდან 1890 წლის დეკემბრის დამლევამდე. მაშინ მან დაწერა „ვეღი", „მოსაწყენი ისტორია", ფართოდ ცნობილი პიესა „ივანოვი", მოამზადა კრებული „ბინდისას". ამ კრებულისათვის ჩეხოვს მეცნიერებათა აკადემიამ პუშკინის პრემია მიანიჭა. აქ ანტონ პავლეს-ძესთან იყვნენ ხოლმე ლიტერატორები, გრიგოროვიჩი, ლესკოვი, კოროლენკო, მხატვარი ლევიტანი. გენიალური რუსი კომპოზიტორი ჩაიკოვსკი ესტუმრა მწერალს და აჩუქა თავისი ფოტოსურათი, რომელსაც წააწერა: „მეზნებარე პატივისმცემლისაგან". 1890 წლის აპრილში მეგობრებმა და ნათესავებმა ამ სახლიდან გააცილეს სახალინს გამგზავრებული ჩეხოვი.

მოგზაურობიდან დაბრუნებული ანტონ პავლეს-ძე დადგა მალაია დმიტროვკის № 29 სახლის პატარა ფლიგელში. ამავე ქუჩაზე იყო ჟურნალ „ზრიტელის" სტამბა, სადაც იბეჭდებოდა ანტონ პავლეს-ძის ნაწარმოებნი.

იალტიდან დაბრუნების შემდეგ 1900 წელს ანტონ პავლეს-ძესთან დადიოდნენ რეჟისორები კ. ს. სტანისლავსკი, ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკო, თვალსაჩინო მსახიობები, მხატვრები. ჩეხოვს ეწვია უდიდესი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი, რომელმაც მას უწოდა „პუშკინი პროზაში". ახლა ყოფილი მალაია დმიტროვკა ჩეხოვის ქუჩაა.

მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის ფარდაზე გამოსახულია გაფრენილი თოლია, რომელიც ამ სახელგანთქმული რუსული თეატრის ემბლემა გახდა. მოსკოვის სამხატვრო თეატრის კოლექტივთან ა. პ. ჩეხოვს ხანგრძლივი და მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა. იგი ბევრჯერ ყოფილა აქ რეპეტიციებსა და სპექტაკლებზე. აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი პიესების დადგმაში. 1898 წლის დეკემბერში ამ თეატრის სცენაზე პირველად დაიდგა პიესა „თოლია", რომელსაც უდიდესი წარმატება ჰქონდა.

დედაქალაქის ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალია პეტროვკა. ამ ქუჩაზე № 19 სახლში მწერალი ცხოვრობდა 1903 წელს. იალტიდან დაბრუნებით გახარებული ჩეხოვი თავის მეგობრებს სწერდა:

„მშვენივრად ვგრძნობ თავს. საუცხოო ბინაა".

მაშინ მასთან ბინაზე იკრიბებოდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობები. კითხულობდნენ ახალ პიესას „ალუბლის ბაღს", მსჯელობდნენ სცენაზე მისი დადგმის შესახებ.

1904 წლის 17 იანვარს გაიმართა „ალუბლის ბაღის" პრემიერა. დადგმა შეუფარდეს ა. პ. ჩეხოვის დაბადების დღეს, რომელიც ზეიმით აღნიშნა მოსკოვის თეატრალურმა საზოგადოებრიობამ. ამ სპექტაკლს დაესწრო ანტონ პავლეს-ძე. იგი მაშინ მთლად კარგად ვერ იყო. მალე საზღვარგარეთ გაემგზავრა სამკურნალოდ და მოსკოვს აღარ დაბრუნებულა.

ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50-ე წლისთავის დღეს მოსკოვის მთელ რიგ შენობებს, სადაც მას უცხოვრია და უმუშავნია, გაუკეთდება მემორიალური დაფები. სადოვო-კუდრინსკაიას ქუჩაზე № 6 სახლში გაიხსნება დიდი რუსი მწერლის მემორიალურ-ლიტერატურული მუზეუმი.



ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი

★

## მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად

### სამხრეთ ოსეთი

**სამხრეთ ოსეთის მშრომელები აღნიშნავენ დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავს.**

**საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები ა. ჩეხოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. მრავალ სასოფლო ბიბლიოთეკასა და კლუბში მოწყობილია ჩეხოვის შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული გამოფენები.**

**სტალინირის საოლქო ბიბლიოთეკაში მოეწყო ჩეხოვის ნაწარმოებთა გამოფენა. აქ ხშირად ეწყობა ლიტერატურული სალამები ჩეხოვის შემოქმედების ირგვლივ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ამზადებს და უახლოეს ხანში ოსურ ენაზე გამოსცემს ჩეხოვის რჩეულ ნაწარმოებთა კრებულს.**

**საოლქო გაზეთები „კომუნისტი" და „საბჭოთა ოსეთი", აგრეთვე მწერალთა კავშირის განყოფილების ყოველთვიური ჟურნალი „ფიდიუაკი" ფართოდ აღნიშნავენ ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს.**

**15 ივლისს სტალინირში გაიმართება ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო.** (საკ. კორ.).

### ჯიათურა

**მარგანეცის ქალაქის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ დიდი მწერლის ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავს.**

**მაღაროებსა და საწარმო-დაწესებულებებში იმართება ლექციებ-მოხსენებები ა. პ. ჩეხოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საქალაქო ბიბლიოთეკაში ამ თარიღთან დაკავშირებით მოეწყო ლიტერატურის გამოფენა. ბიბლიოთეკაში დაცულია ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებთა 300-მდე წიგნი რუსულ და ქართულ ენებზე. ამ დღეებში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ჩეხოვის წიგნებზე. მშრომელები გულდასმით ეცნობიან მის უკვდავ ქმნილებებს.** (საკ. კორ.).

### ქუთაისი

**ქალაქის მსხვილ საწარმოებში, დაწესებულებებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში იმართება საუბრები დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო ჩეხოვის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი დიდი გამოფენა. კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ჩეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთაისელი მწერლები და მოწინავე თვითმოქმედი კოლექტივები.**

**დღეს, 15 ივლისს, გაიმართება ჩეხოვის საიუბილეო საქალაქო სალამო, რომელზეც თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის კოლექტივი, რომელიც ქუთაისში იმყოფება საგასტროლოდ, მაყურებელს უჩვენებს ა. პ. ჩეხოვის პიესა „თოლიას".** (საკ. კორ.).

### ჯიათურა

**მარგანეცის ქალაქის მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ დიდი მწერლის ა. პ. ჩეხოვის გარდაცვალების 50 წლისთავს.**

**მაღაროებსა და საწარმო-დაწესებულებებში იმართება ლექციებ-მოხსენებები ა. პ. ჩეხოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საქალაქო ბიბლიოთეკაში ამ თარიღთან დაკავშირებით მოეწყო ლიტერატურის გამოფენა. ბიბლიოთეკაში დაცულია ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებთა 300-მდე წიგნი რუსულ და ქართულ ენებზე. ამ დღეებში განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ჩეხოვის წიგნებზე. მშრომელები გულდასმით ეცნობიან მის უკვდავ ქმნილებებს.** (საკ. კორ.).

★ ★

## ა. პ. ჩეხოვი ქართულ სცენაზე

ქართველი საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენდა მე-19 საუკუნის მოწიფავე რუსული დრამატურგიისადმი. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები მოითხოვდნენ ქართულ სცენაზე ხშირად დადგმულიყო რუსული პიესები. მართლაც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იდგმებოდა გოგოლის, ოსტროვსკისა და სხვათა ნაწარმოებები. 90-იანი წლებიდან პერიოდულად იდგმება ა. პ. ჩეხოვის პიესები. 1889 წელს ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნა ჩეხოვის ვოდევილი „დათვი". ეს ნაწარმოები 1891 წელს კვლავ დაიდგა და ამ დადგმას გაზეთმა „ივერიამ" მაღალი შეფასება მისცა.

1890 წლის 30 ოქტომბერს ვ. აბაშიძის საბენეფისოდ ქართული თეატრის მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნა მ. ნასიძის მიერ გადმოკეთებული ჩეხოვის „ივანოვი". 1903 წელს იგი კვლავ იქნა დადგმული. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ვ. აბაშიძე, ელ. ჩერქეზიშვილი და სხვები. ამავე წელს ითარგმნა ა. პ. ჩეხოვის ერთ-ერთი შესანიშნავი პიესა „ძია ვანო". ვ. გუნიას ხელმძღვანელობით მისი მეორე მოქმედება 1904 წელს დაიდგა ქუთაისში. ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით დაიდგა აგრეთვე „ხელის თხოვა" და „დათვი".

1908 წლის 21 სექტემბერს ქუთაისში დრამატული დასის მიერ წარმოდგენილ იქნა „ალუბლის ბაღი".

იმავე წლის სეზონში თბილისის ქართულმა დრამამ სანდრო ყანჩელის რეჟისორობით წარმოადგინა ჩეხოვის „ალუბლის ბაღი" „სალხინოს" სახელწოდებით. ამ პიესაში თავი ისახელა და იშვიათი ტემპერამენტით წარმოგვისახა ლოპახინის როლი მსახიობმა მ. არადელმა-იშხნელმა. მას შემდეგ აღნიშნული პიესა ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე და მაყურებლის დიდი მოწონებით სარგებლობდა.

1947 წელს თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა დადგეს „ხელის თხოვა" (რეჟისორი ა. დვალიშვილი), 1952 წელს „ჯადოქარი" — ინსცენირება ნოველის მიხედვით, ხოლო 1953 წელს — „დიდ გზაზე".

• • •

თბილისის მაყურებელი ხშირად დამტკბარა ა. ჩეხოვის პიესების ხილვით რუსული დრამის სცენაზე. მას შემდეგ, რაც სამხატვრო თეატრმა იპოვნა თავისი დრამატურგი და ჩეხოვის პიესების დადგმით დიდება მოიპოვა, პერიფერიის თეატრები ხშირად დგამდნენ ჩეხოვის პიესებს. თბილისის მაყურებელს კარგად ახსოვს რევოლუციამდელ თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი „ალუბლის ბაღი", „ივანოვი", „თოლია" და სხვა. ავჭალის აუდიტორიის და სახალხო სახლის სცენებზე ხომ ჩეხოვის ვოდევილები „დათვი" და „ხელის თხოვა" ხშირად იდგმებოდა. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში რუსულ ენაზე ავჭალის აუდიტორიაში ვოდევილ „დათვში" მხცოვან მოღვაწეს თ. სახოკიასაც კი უთამაშნია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ა. ჩეხოვის დრამატურგიას ფართო გასაქანი მიეცა. საკმარისია გავიხსენოთ, რა დიდი სიყვარულით, რა დიდი განწყობილებით წარმოადგინა ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრმა ჩეხოვის „ძია ვანო" და „თოლია". არცერთ პიესაში ჩეხოვის ნოვატორობა ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც „თოლიაში". დიდი მწერალი ერთ-ერთ მოქმედ პირს ალაპარაკებს, რომ საჭიროა დრამატურგიაში ახალი ფორმების დამყარება, და ა. ჩეხოვმა სინამდვილეში მართლაც დაამკვიდრა ეს ახალი ფორმა.

## ქართული თარგმანები

ჯერ კიდევ „ივერია", „ცნობის ფურცელი" და სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები სისტემატურად ბეჭდავდნენ დიდი რუსი მწერლის ა. პ. ჩეხოვის ნაწარმოებებს. „ცნობის ფურცელში" დაიბეჭდა ივ. პოლუმორდვინოვის თარგმანით ჩეხოვის მოთხრობები: „სასამართლოში" „უნტერ-ოფიცერი პრიშიბეევი"; „მოამბეში" გამოქვეყნდა „შემთხვევა", „რაშევიჩი", „შიში" და მრავალი სხვა. ჩეხოვის მოთხრობებს ეხვდებით „კვალის", ჟურნალ „დროშის", „ნაკადულის" ფურცლებზეც. ითარგმნა ჩეხოვის პიესები „ალუბლის ბაღი", „ძია ვანო", „სამი და", „ძალადტრაგიკოსი", „ხელის თხოვა", „ივანოვი", „დათვი".

1900 წელს ქართველი საზოგადოება პირადად გაეცნო ა. ჩეხოვს, რომელიც გორკისთან ერთად ჩამოვიდა თბილისში. ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი ა. ჩეხოვის ნაწარმოებთა ქართულად თარგმნისადმი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 9-ჯერ გამოიცა მისი ნაწარმოებები 55 ათასზე მეტი ცალი ტირაჟით. ცალკე წიგნებად გამოიცა მოთხრობები: „თეთრშუბლა", „კაშტანკა", „ქაცი ფუტლიარში". არსებობს ა. პ. ჩეხოვის მოთხრობების კრებულის 4 გამოცემა პ. ბახტურიძისა და ივ. პოლუმორდვინოვის თარგმანით.

ა. პ. ჩეხოვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ერ. ქარელიშვილის წიგნი „ანტონ ჩეხოვი" და ი. ვასილენკოს „ჩეხოვის მერხი" (თარგმანი ვ. ნ. სიხარულიძისა).

# დიდი რუსი მწერალი

ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვმა (1860-1904 წლები) შემოქმედებითი მოღვაწეობა 80-იანი წლების მიმდ რეაქციის დროს დაიწყო. მძვინვარე ბნელეთისმოციქულობასთან ბრძოლაში იმ დროს იქმნებოდნენ და იზრდებოდნენ განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ძალები. „სწორედ ამ ეპოქაში, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მუშაობდა ყველაზე ინტენსიურად რუსეთის რევოლუციური აზრი, შეჰქმნა რა სოციალ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის საფუძვლები" (თხზ., ტ. 10, გვ. 303).

განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეგავლენით ჩეხოვი, რომელიც ძლევდა საზოგადოებრივი პასიურობის, ლიბერალიზმის ტენდენციებს, იმსჭვალებოდა დემოკრატიზმის, ხალხის ინტერესებისადმი შეგნებული სამსახურის კეთილშობილური იდეებით. დაახლოებით 1886 წელს ჩეხოვის შემოქმედებაში ხდება გარდატეხა, და მის ნაწარმოებებში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა აქტუალურ სოციალურ თემებს, მათ ახასიათებს ღრმა რეალიზმი, ნოვატორული ძიება. 90-იან და შემდგომ წლებში ჩეხოვი ჩამოყალიბდა როგორც უაღრესად თვალსაჩინო დემოკრატი მწერალი, ჭეშმარიტად მძლავრი და განსაკუთრებით თავისებური მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული. მას მშვენივრად ესმოდა თავისი, როგორც მწერლის დანიშნულება. „მე, — ამბობს იგი ტრიგორინის პირით პიესა „თოლიაში", — მიყვარს სამშობლო, ხალხი, მე ვგრძნობ, რომ თუ მწერალი ვარ, ვალდებულიც ვარ ვილაპარაკო ხალხზე, მის ტანჯვაზე, მის მომავალზე".

1905 წლის რევოლუციის წინა ხანებში ჩამოყალიბდა ორი ძირითადი პროგრესული პოზიცია, რომლებიც უპირდაპირდებოდა ძველ სამყაროს: საერთო-დემოკრატიული და პროლეტარული ანუ სოციალისტური პოზიციები. საერთო-დემოკრატიული პოზიცია გამოხატავდა მთელი ხალხის, ყველა მისი ასე თუ ისე პროგრესული ძალის ბრძოლას თვითმპყრობელური, მემამულური წყობილების წინააღმდეგ, ბრძოლას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილებისათვის. სოციალისტური პოზიცია გამოხატავდა მუშათა კლასის ინტერესებს, რომელიც, მეთაურობდა რა მთელი ხალხის მოძრაობას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის, ამავე დროს აწარმოებდა ბრძოლას ბურჟუაზიის წინააღმდეგ სოციალისტური რევოლუციისათვის, საზოგადოების სოციალისტური წყობილებისათვის.

რევოლუციისწინა წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბრძოლაში ჩეხოვი იდგა არა სოციალისტურ, არამედ საერთო-დემოკრატიულ პოზიციაზე, რამაც განსაზღვრა მისი ძალაც და სისუსტეც.

უპასუხებდა რა მიმდინარე ცხოვრების მოთხოვნილებებს, დიდი მწერალი ამუშავებდა სულ სხვადასხვა პრობლემებს, რომლებიც ღრმად აღელვებდნენ მის თანამედროვეებს. თემატური დიაპაზონის სიფართოვით მას ზადალი არა ჰყავს კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურაში.

ლირიკულ-ფსიქოლოგიური ვითარების გასაოცრად ფაქიზი, თითქოს აჟურული სიტყვიერი ნაქარგის ოსტატმა, მან მკითხველებს გადაუშალა პარადიტული, ეკონომიურად და სულიერად დაშლილი თავად-აზნაურობის სხვადასხვა წარმომადგენელთა მთელი გალერია („დაგვიანებული ყვავილები", „ალუბლის ბაღი"). მკვეთრი შტრიხებით დაგმო მან ცინიკური მტაცებლური ბურჟუაზიის საზიზღარი არსი („ნიღაბი", „კულაკური ბუდე", „სამი წელი", „ხრამში", „ლოპახინის სახე პიესა „ალუბლის ბაღში" და სხვ.). ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი ძალის ობიექტურობით, სატირული გროტესკითა და მრისხანე სარკაზმით ხატავდა იგი მეფის ბიუროკრატიას, მისი ხეპრე ეგოიზმის, თვითკმაყოფილი უხამსობის, გონებაჩლუნგობისა და არარაობის ბატონობას („გუნებაზე არაა", „ქამელეონი", „უნტერ პრიშიბეევი", „ქაცი ფუტლარში", პროფესორ სერებრიაკოვის სახე პიესა „ძია ვანოში"). ჩეხოვი მთელი სირთულით განიცდიდა სიძულვილს, გულის ტკივილსა და შეურაცხყოფას, და სევდიანი მწარე ღიმილით ძერწავდა განათლებული, ინტელიგენტი ადამიანების პორტრეტებს, რომლებიც ჩაფლული არიან ყოფაცხოვრებითი უხამსობის, მომხვეჭელობის, კარიერიზმის, უქნარობისა და საზარმაცის წუმპეში („ლიბერალი", „ტალანტი", „იონიჩი", „სამი და"). ღრმა გულითადი თანაგრძნობით წარმოსახა მან გამოუვალი მდგომარეობა გლეხობისა, რომელსაც სულს უხუთავდა გადასახადები და ბეგრები, თრგუნავდა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის სასტიკი ექსპლოატაცია. („სიბნელე", „ბოროტგანმზრახველი", „ვანკა", „ახალი აგარაკი"). ნამდვილად ჰუმანური, ჭეშმარიტად ადამიანური თანაგრძნობით აღსავსე, მწერალი ხატავს იმ ჭკვიანი, ფაქიზად და ღრმად მგრძნობიარე ნიჭიერი ადამიანების მწვავე ტკივილს, განუშორებელ სულიერ ტანჯვას, გულის ჩახშობილ ამოძახილს და სრულ უპერსპექტივობას, რომლებიც მომწყვდეული არიან მოწყენილი, უაზრო და საძულველი ცხოვრების საშინელ პირობებში. („პალატა № 6", ასტროვისა და ვოინიცკის სახე პიესებში „ძია ვანო", „სამი და"). გასაოცარი სინატიფით, ნაზად, ალერსით, ფაქიზი აკვარელის ფერებით ხატავდა ჩეხოვი ადამიანის სულის სილაკაშეს, განსაკუთრებით სიცოცხლის ძალღონით აღსავსე ჭაბუკობის მომხიბვლელობას, მის ჰუმანურ გატაცებას, მის იმედებსა და ნატვრას, დაუცხრომელ მისწრაფებას იდეალისადმი, მომხიბვლელ ოცნებას უკეთეს მშვენიერ მომავალზე (ნინო ზარეჩნაია პიესა „თოლიაში", ირინე პიესა „სამ დაში", ანია პიესა „ალუბლის ბაღში"). სიხარულის იმედითა და სიამაყის გრძნობით გვიხატავს ჩეხოვი იმათ, ვინც ცდილობდა ამოსულიყო საზოგადოებრივი მოდუნების ჭაობიდან, ვინც ებრძოდა სიზნელეს, ძალადობასა და თვითნებობას („სიტყვიერების მასწავლებელი", „სასძლო", ტროფიმოვის სახე პიესა „ალუბლის ბაღში").

ყველა ძირითად მოთხრობასა და პიესაში გენიალური მწერალი ამბობდა, რომ ისე ცხოვრება, როგორც მაშინ ცხოვრობდნენ, აღარ შეიძლება. ჩეხოვი არ ეთანხმებოდა მისი თანამედროვე თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ექსპლოატატორული საზოგადოების წყობილებას და ოცნებობდა მომავალზე. მწერლის ამ ოცნებამ მის შემოქმედებას თავისებური ელფერი მისცა.

ჩეხოვის ნაწარმოებთა დადებითი გმირები, რომლებიც უკმაყოფილნი არიან მათი გარემო სამყაროს არსებობითა და პირობებით, ოცნებობენ მომავალ თაობათა ცხოვრებაზე. ამ ნათელ და სასიხარულო ცხოვრებაზე ჩეხოვის ბევრი გმირი ლაპარაკობს: ექიმი ასტროვი („ძია ვანო") ფიქრობდა, რომ ბედნიერი ცხოვრება დადგება სულ მცირე ათასი წლის შემდეგ, ვერშინინი („სამი და") ირწმუნებოდა, რომ ცხოვრება დედამიწაზე წარმოუდგენლად მშვენიერი გახდება ორასი, სამასი წლის შემდეგ, ხოლო კოროლევი („შემთხვევა პრაქტიკაში") ფიქრობდა, რომ „კარგი იქნება ცხოვრება 50 წლის შემდეგ". კიდევ უფრო ოპტიმისტურად უყურებდა ახალი ცხოვრების მოახლოვებას ტუზენბახი. „მოვიდა დრო, — ამბობდა იგი, — ყველა ჩვენგანს უახლოვდება რაღაც ბუმბერაზი, მზადდება ჯანსაღი, ძლიერი ქარიშხალი, რომელიც მოდის, უკვე ახლოა და მალე მოაშორებს ჩვენს საზოგადოებას სიზარმაცეს, გულგრილობას, შრომისადმი სიძულვილს, დამპალ მოწყენილობას. მე ვიმუშავებ, ხოლო სულ 25-30 წლის შემდეგ უკვე ყოველი ადამიანი იმუშავებს". დრამა „სამი და", რომლის ერთ-ერთი გმირია ტუზენბახი, დაიდგა და დაიბეჭდა 1901 წელს, და სიტყვები, რომლებიც მას ჩეხოვმა ათქმევინა, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა.

ჩეხოვი ცდილობდა მთელი სინამდვილითა და სირთულით წარმოესახა უფერული, მოსაწყენი, მოდუნებული ცხოვრება თვითმპყრობელურ-კაპიტალისტური ჩაგვრის პირობებში, გვიჩვენებდა, როგორ ბოგინობდნენ, ობი ეკიდებოდათ და იწამლებოდნენ ცხოვრების უხამსობის დამპალი ატმოსფეროთი, როგორ ეხუთებოდათ სული, სახიჩრდებოდნენ და იღუპებოდნენ საუკეთესო ადამიანებიც კი. ჩეხოვმა ამოსწურა კრიტიკული რეალიზმის შესაძლებლობანი. ჩეხოვის წარუვალი მნიშვნელობა ის არის, რომ მან ლ. ნ. ტოლსტოისთან ერთად დააგვირგვინა კრიტიკული რეალიზმი.

ჩეხოვის შემოქმედების პლასტიკურად ნათელ სახეებს გადავყავართ წარსულში, და ჩვენ თითქოს დიდი ხანია განვლილი მოვლენების უშუალო მოწმენი ვხდებით. ჩვენ ვხედავთ უაღრესად ტიპიურ ხასიათებს, სხვადასხვა სოციალური წრის, იდეურად, მორალურ-ფსიქოლოგიურად და კულტურულად განსხვავებულ ადამიანებს. გენიალური მწერლის ნაწარმოებები გამსჭვალულია სამშობლოსა და ხალხისადმი უდიდესი სიყვარულით, დაუშრეტელი ოპტიმიზმით, მომავლისადმი ბგზნებარე მისწრაფებით და მტკიცე რწმენით, რომ ეს მომავალი დადგება. ამით ჩეხოვის შემოქმედება ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას და ასრულებს დიდ სოციალურ-აღმზრდელობითს როლს. ამხილებდნენ რა ხალხის მტრებს ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი პრაერთხელ მიმართავდნენ ჩეხოვის ნაწარმოებთა უაღრესად ტიპიურ სახეებს.

ჩეხოვის შემოქმედება წინა პროგრესული კულტურისა და სოციალისტური საზოგადოების კულტურის ცოცხალი კავშირის ერთ-ერთი უაღრესად მკაფიო დადასტურებაა. თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, რუსი ხალხის ჭკვიანი და ერთგული შვილი, ჩეხოვი მთელი თავისი შემოქმედებით იბრძოდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, დესპოტიზმის, ეგოიზმის, უხამსობის, დამყაურებულობის, უკულტურობის წინააღმდეგ. იგი ენერგიულად იბრძოდა ახალი ცხოვრებისათვის, სადაც სრულფლებიანი ბატონპატრონი უნდა იყოს შრომა, განათლება და მეცნიერება. ამიტომ იყო, რომ ი. ბ. სტალინმა მოხსენებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24 წლისთავი" დიდი რუსი ერის გამოჩენილ წარმომადგენელთა შორის ჩეხოვიც დაასახელა.

თავისი არსით ღრმად ეროვნული ჩეხოვის შემოქმედება ამავე დროს საერთაშორისოა. ჩეხოვი ერთი იმ რუსი მწერალთაგანია, რომლებიც თავისი გენიით ამაღლებდნენ და ამაღლებენ მთელი მსოფლიო კულტურის დონეს. მისი შემოქმედების მძლავრი გავლენა მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ჩეხოვის ნოვატორობა პროზასა და დრამაში მაღლობით აღიარეს ყველა ქვეყნის ხალხებმა. ჩეხოვის კეთილნაყოფიერი გავლენა განიცადეს ინგლისელმა მწერალმა ბერნარდ შოუმ, ჩინეთის ლიტერატურის გამოჩენილმა მოღვაწემ ლუსინმა და ბევრმა სხვა უცხოელმა მწერალმა. ჩეხოვის ნაწარმოებები ფართოდ პოპულარულია ჩინეთში. ეს ნაწარმოებნი იბეჭდება სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში.

ამა წლის 15 ივლისს მთელი პროგრესული კაცობრიობა მოიგონებს ჩეხოვს და განმსჭვალება ერთიანი მისწრაფებით მშვიდობისადმი, შემოქმედებითი შრომისადმი, ყოველი სიმწარისაგან თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებისადმი. ამრიგად, ჩეხოვს თავისი უკვდავი შემოქმედებით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს მშვიდობის საქმეში.

ჩეხოვი დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, იგი გახდა ჩვენი სიამაყე და დიდება, იგი სამარადისოდ დაუკავშირდა საბჭოთა ხალხს. და ამიტომ, როგორც პოეტმა ტიუტჩევმა პუშკინზე თქვა, მას „...ვით პირველ სიყვარულს, რუსეთის გული არ დაივიწყებს!".

**პროფ. ა. რევიაკინი.**

## უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ

კიევი, 13 ივლისი. (საკდესი). უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქენევის კონვენციები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, რომლებიც შეიმუშავა ქენევის კონფერენციამ 1949 წელს და რომლებსაც ხელი მოაწერა უკრაინის სსრ წარმომადგენელმა 1949 წლის 12 დეკემბერს, სახელდობრ:

1. კონვენცია მოქმედ არმიებში დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ;
2. კონვენცია დაჭრილთა, ავადმყოფთა და შეიარაღებული ძალების შემადგენლობის იმ პირთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ, რომლებმაც განიცადეს გემის დაღუპვა ზღვაზე;
3. კონვენცია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ;
4. კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ.

## საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი ფინეთში

ჰელსინკი, 13 ივლისი. (საკდესი). გუშინ აქ მყოფი საბჭოთა ხომალდების პირადი შემადგენლობის ჯგუფმა იმგზავრა ქალაქ ტურკუში. აქ მეზღვაურებმა დაათვალიერეს გემსაშენი „კრეიტონ-ვულკანი“ და გაეცნენ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. „კრეიტონ-ვულკანის“ გემსაშენის ხელმძღვანელობამ საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად სადილი გამართა. ხომალდების პირადი შემადგენლობის მეორე ჯგუფი გუშინ ეწვია კადეტთა სასწავლებელს და გაეცნო მის მუშაობას.

ჰელსინკი, 13 ივლისი. (საკდესი). მეოთხე დღეა ჰელსინკში იმყოფება საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი. ფინეთის დედაქალაქის მშრომელებს, ფინეთის ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს ეს ვიზიტი მიაჩნია ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მზარდი მეგობრობის ნიშნად.

საბჭოთა ხომალდებს ითვალიერებენ ჰელსინკის და ფინეთის სხვა ქალაქების მშრომელთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები. ნავმისადგომებთან განუწყვეტლივ იუვარებელი ხალხია.

დღეს კრეისერ „ორჯონიკიძეს“ ეწვიენ ჰელსინკის მუშათა, კომუნალურ მუშაკთა და ნავსადგურის მუშათა დელეგაციები, ქალაქ ჰი